

შპს „ტორნადო“  
(სნ 211338382)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

## სარჩევი

|                                                     |    |
|-----------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                  | 3  |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 5  |
| ფულის მოძრაობის ანგარიშგება                         | 7  |
| ახსნა-განმარტებითი შენიშვნები                       |    |
| 1 ზოგადი ინფორმაცია                                 | 9  |
| 2 წარდგენის საფუძვლები                              | 10 |
| 3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა       | 11 |
| 4 ფული და ფულის ექვივალენტები                       | 17 |
| 5 სავაჭრო და მოკლევადიანი მოთხოვნები                | 17 |
| 6 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                     | 18 |
| 7 ამონაგები                                         | 18 |
| 8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები                 | 19 |
| 9 ფინანსური ხარჯი                                   | 19 |
| 10 მოგების გადასახადი                               | 19 |
| 11 ფინანსური რისკების მართვა                        | 20 |
| 12 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის           | 23 |
| 13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები        | 25 |

შპს „ტორნადო“ ჯგუფის კონსოლიდირებული  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| ფინანსური მდგომარეობა                                                                          | შენ | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|------------------------------------------------------------------------------------------------|-----|------------|------------|
| აქტივები                                                                                       |     |            |            |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                                                                    | 6   | 449400     | 0          |
| სავაჭრო მოთხოვნები                                                                             | 7   | 816546     | 0          |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული<br>ფულადი სახსრები                                 | 7   | 911247     | 0          |
| მარაგები                                                                                       |     | 4304253    | 0          |
| მზა პროდუქცია                                                                                  |     | 4304253    | 0          |
| სხვა                                                                                           | 8   | 0          | 0          |
| საინვესტიციო ქონება                                                                            |     | 0          | 0          |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                     |     | 365        | 0          |
| ბიოლოგიური აქტივები                                                                            |     | 0          | 0          |
| თვითღირებულების მოდელით                                                                        |     |            |            |
| გადაფასების მოდელით                                                                            |     |            |            |
| გუდვილი                                                                                        |     |            |            |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                   | 5   | 24341      | 0          |
| ძირითადი საშუალებები                                                                           | 4   | 3663158    | 0          |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                                                              |     |            |            |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ<br>ინსტრუმენტებში                                         |     | 21000      |            |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                     |     |            |            |
| სულ აქტივები                                                                                   |     | 10190310   | 0          |
| ვალდებულებები                                                                                  |     |            |            |
| საიჯარ ვალდებულება                                                                             | 9   | 1765       | 0          |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                          | 9   | 1101470    | 0          |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები                                                          |     |            |            |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                             | 9   | 43632      |            |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                     | 9   | 153465     | 0          |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                                                     |     |            |            |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                                                                | 9   |            |            |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები                                                             | 9   | 4341416    | 0          |
| მიღებული გრანტები                                                                              |     |            |            |
| სხვა ვალდებულებები                                                                             | 9   | 8          | 0          |
| სულ ვალდებულებები                                                                              |     | 5641756    | 0          |
| საკუთარი კაპიტალი                                                                              |     | 12310      | 0          |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი',<br>კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') |     |            |            |
| საემისიო შემოსავალი                                                                            |     |            |            |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                   |     |            |            |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                                                                  |     | 4177206    | 0          |

|                                                                        |  |          |   |
|------------------------------------------------------------------------|--|----------|---|
| გადაფასების რეზერვი                                                    |  |          |   |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                   |  | 329993   | 0 |
| სულ მშობელი საწარმოს მფლობელობისათვის<br>განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი |  | 4519509  |   |
| არამაკონტროლებელი წილი                                                 |  | 29045    |   |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                  |  | 4548554  | 0 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                 |  | 10190310 | 0 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                              |  | 6481811  | 0 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                         |  | 1300340  | 0 |

დირექტორი:

ბუღალტერი:

თარიღი: 28.09.2023წ.



გიორგი ბებია

ზაალი შონია



შპს „ტორნადო“ ჯგუფის კონსოლიდირებული  
მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| საქმიანობის შედეგები                                                                                                                    | შენ | 2022 წ    |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|-----------|
| ნეტო ამონაგები                                                                                                                          |     | 19724229  |
| საქონლის გაყიდვიდან                                                                                                                     | 10  | 19505971  |
| მომსახურების გაწევიდან                                                                                                                  | 10  | 218258    |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                                                                                            |     |           |
| სხვა                                                                                                                                    | 10  |           |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                                                                                                   |     | -15146341 |
| საწყისი მარაგები                                                                                                                        | 11  |           |
| მარაგების შესყიდვა                                                                                                                      | 11  |           |
| გადამუშავების დანახარჯები                                                                                                               |     |           |
| საბოლოო მარაგები                                                                                                                        | 11  |           |
| საერთო მოგება                                                                                                                           |     | 4577888   |
| სხვა შემოსავალი                                                                                                                         |     | 22756     |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                                                                | 12  | -1261990  |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                                                                    | 12  | -99823    |
| საპროცენტო შემოსავალი:                                                                                                                  |     | 3267      |
| საპროცენტო ხარჯი :                                                                                                                      |     | -142448   |
| იჯარის ხარჯი                                                                                                                            | 12  | -185026   |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                                                                | 12  | -817457   |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                                                                                  |     | -2480721  |
| საოპერაციო მოგება                                                                                                                       |     | 2097167   |
| გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:                                                                                                      |     |           |
| ფინანსური აქტივები                                                                                                                      |     |           |
| მარაგები                                                                                                                                |     |           |
| სხვა არაფინანსური აქტივები                                                                                                              |     |           |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო<br>ოპერაციებიდან                                                                               | 13  | 390348    |
| მიღებული დივიდენდები                                                                                                                    |     |           |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი                                                                                              | 13  | -7551     |
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე<br>განგრძობითი ოპერაციებიდან                                                               |     | 2479964   |
| მოგების გადასახადი                                                                                                                      | 14  | 0         |
| მოგება/(ზარალი)                                                                                                                         |     | 2479964   |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):                                                                                                       |     |           |
| ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური<br>აქტივის) გადაფასების რეზერვი                                                               |     |           |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე<br>საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი<br>და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) |     |           |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ                                                                                                   |     |           |
| მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)                                                                                                      |     | 2479964   |
| მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:                                                                                                            |     |           |
| მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე<br>მისაკუთვნილებელი მოგება(ზარალი)                                                                       |     | 2463168   |

|                                                                                                                           |  |         |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|---------|
| არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება/(ზარალი)                                                                   |  | 16796   |
| მოგება/(ზარალი)                                                                                                           |  | 2479964 |
| მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)<br>განკუთვილი:                                                                          |  |         |
| მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე<br>მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი                                                       |  | 2461368 |
| არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი<br>მთლიანი შემოსავალი                                                             |  | 16796   |
| მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)                                                                                         |  | 2479964 |
| საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის<br>საწყისი ნაშთი)                                                              |  | 0       |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში<br>'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში<br>'საპაიო კაპიტალის გაზრდა') |  |         |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის<br>დივიდენდი)                                                                         |  |         |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                                     |  | 2068590 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                                 |  |         |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის<br>ბოლოს                                                                         |  | 4548554 |

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

თარიღი: 28.09.2023წ



გიორგი ბედია


ზაალი შონია



შპს „ტორნადო“ ჯგუფის კონსოლიდირებული  
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
2022 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე

| ფულადი სახსრების მოძრაობა                         | 2022 წ   |
|---------------------------------------------------|----------|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან   | 187162   |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | -1872013 |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან    | 2134251  |
| წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში | 449400   |
| სავალუტო კურსის ეფექტი                            | 0        |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში       | 0        |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს            | 449400   |

დირექტორი:



გიორგი ბებია

მთავარი ბუღალტერი:

ზაალი შონია

თარიღი:

28.09.2023წ

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტორნადო“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1997 წლის 27 მარტს, საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 5ა/4-1077 დადგენილებით და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი: 211338382.

საზოგადოება დაფუძნებულ იქნა სამი რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ და 2023 წლის 7 ივნისამდე კომპანიის 79,5%-იანი წილის მფლობელი იყო ალექსანდრე ივანიშვილი (საქართველო) (პ/ნ 01012000982), 14%-იანი წილის მფლობელი თამაზი ხარაიძე (საქართველო) (პ/ნ 01010004194) და 6,5%-იანი წილის მფლობელი რობერტი ხაბურზანია (საქართველო) (პ/ნ 01022001441).

2023 წლის 7 ივნისს განხორციელებული ცვლილებებით კომპანიის 39,5%-იანი წილის მფლობელია ალექსანდრე ივანიშვილი (საქართველო) (პ/ნ 01012000982), 14%-იანი წილის მფლობელია თამაზი ხარაიძე (საქართველო) (პ/ნ 01010004194), 6,5%-იანი წილის მფლობელია რობერტი ხაბურზანია (საქართველო) (პ/ნ 01022001441) და 40%-იანი წილის მფლობელია გიორგი დამენია (საქართველო) (პ/ნ 01007008589).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სხვა სათბობით (საავტომობილო ზეთები და სითხეები) საბითუმო ვაჭრობა, ასევე საკუთარი უძრავი ქონების გაქირავება.

კომპანიის ფაქტიური მისამართია: ქ. თბილისი, ფიზკულტურისა და გოთუას ქ-ების კვეთა.

კომპანიის დირექტორია გიორგი ბეზია (საქართველო) (პ/ნ 39001005680).

კომპანიის მთავარი ბუღალტერია ზაალი შონია (პ/ნ 62006002538).

საანგარიშო პერიოდიდან კომპანია გახდა მშობელი კომპანია:

| შვილობილი<br>კომპანიის<br>დასახელება და<br>ს/ნ | საქმიანობის<br>სფერო                         | საქმიანობის<br>ქვეყანა | დაფუძნების<br>თარიღი | წილის ფლობა |
|------------------------------------------------|----------------------------------------------|------------------------|----------------------|-------------|
|                                                |                                              |                        |                      | 2022 წ      |
| შპს „ჯი ემ თი<br>ჯგუფი“, ს/ნ<br>402047664      | ავტონაწილებით<br>და საპოხი მასალ.<br>ვაჭრობა | საქართველო             | 20/03/2017           | 100%        |

უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ჯი ემ თი ჯგუფი“-ს (ს/ნ 402047664) 2021 წლის 10 დეკემბრის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო კომპანიის რეორგანიზაცია ახალი სამეწარმეო სუბიექტის გამოყოფის გზით და 2022 წლის 17 იანვარს დასრულდა საზოგადოების რეორგანიზაცია, რის შედეგადაც შპს „ჯი ემ თი ჯგუფი-დან“ (ს/ნ 402047664) გამოეყო ახალი სამეწარმეო სუბიექტი - შპს „ჯი ემ აუტო 2021“, ს/ნ 402202406. ზემოაღნიშნული რეორგანიზაციის შემდეგ შეიცვალა შპს „ჯი ემ თი ჯგუფი“-ს პარტნიორთა შემადგენლობაც და 2022 წლის 17 იანვრიდან ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტორნადო +“, ს/ნ 211338382, წილი - 100%.



| შვილობილი<br>კომპანიის<br>დასახელება და<br>ს/ნ | საქმიანობის<br>სფერო                         | საქმიანობის<br>ქვეყანა |  | დაფუძნების<br>თარიღი | წილის ფლობა |
|------------------------------------------------|----------------------------------------------|------------------------|--|----------------------|-------------|
|                                                |                                              |                        |  |                      | 2022წ       |
| შპს „ჯი ემ თი<br>პლიუსი“, ს/ნ<br>405293677     | ავტონაწილებით<br>და საპოხი მასალ.<br>ვაჭრობა | საქართველო             |  | 04/10/2018           | 75%         |

2021 წლის 12 ნოემბერს შპს „ჯი ემ თი ჯგუფი“-ს (სნ 402047664) მიერ შეძენილი იქნა შპს „ჯი ემ თი პლიუსი“-ს (ს/ნ 405293677) კაპიტალის 75%-იანი წილი და შპს „ჯი ემ თი პლიუსი“ (სნ 405293677) წარმომადგენს შპს „ტორნადო“-ს (სნ 211338382) 100%-იანი წილის მფლობელობაში არსებული შპს „ჯი ემ თი ჯგუფი“-ს (სნ 402047664) შვილობილ კომპანიას 75%-იანი წილით.

საანგარიშო პერიოდში კომპანიას სხვა შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

01.01.2022 წლისათვის კომპანიაში მუშაობდა 2. თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, 01.01.2023 წლისათვის კი 3 თანამშრომელი.

## 2. წარდგენის საფუძველი

### 2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### 2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

### 2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

### 2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.



### 3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

#### 3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მსს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

#### 3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც შეადგენდა:

| დასახელება        | 31 დეკემბერი 2022 წელი | 31 დეკემბერი 2021 წელი |
|-------------------|------------------------|------------------------|
| 1 აშშ დოლარი/ლარი | 2,7020                 | 3,0976                 |
| 1 ევრო/ლარი       | 2,8844                 | 3,5040                 |

2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევროსთვის შეადგენს 3.5040 ლარს; 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი და ერთი ევრო 2.8844 ლარი. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკუროსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

#### 3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან სხვა მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც



ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი              | სასარგებლო მომსახურების ვადა<br>(წლები)                                  |
|----------------------------------------|--------------------------------------------------------------------------|
| მანქანა-დანადგარები                    | 10-20 წელი                                                               |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი             | 5-7 წელი                                                                 |
| კომპიუტერული ტექნიკა                   | 5 წელი                                                                   |
| ავტომობილები                           | 10 წელი                                                                  |
| იჯარით აღებული ქონების<br>კეთილმოწყობა | იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო<br>მოსახურების ვადას შორის უმცირესი. |

#### 3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

#### 3.5 იჯარა

ყველა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

#### 3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

#### 3.7 ფინანსური ინსტრუმენტები



კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ საანგარიშგებო პერიოდში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### ა) სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, აგრეთვე ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე.

#### ბ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

#### გ) ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში. ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანია აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. განმარტების თანახმად, ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზრო გარიგებების შედეგად, ეფუძნება რეალურ ღირებულებაში ცვლილებას, ხოლო არააქტიურ ბაზარზე, შეფასების მოდელის გამოყენებას. ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

#### დ) სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შექმნას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.



### 3.8 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება შეეხება აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა. ფინანსური აქტივების გაუფასურება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფასდება გაუფასურების მაჩვენებლებზე. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ ერთი ან რამდენიმე შემთხვევის მოხდენის ალბათობა, ინვესტიციის სამომავლო ფულად ნაკადებზე მოახდენს გავლენას. ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით. სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ შემთხვევასთან, წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ზარალზე იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების თარიღისთვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში. სავაჭროდ გამიზნული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, რეალური ღირებულების ნებისმიერი მატება შემდგომი გაუფასურებით, უნდა აღიარდეს კაპიტალში.

### 3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია



კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა. გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

### 3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება. გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

### 3.11 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები\* საიმედოდ იქნეს შეფასებული.

### 3.12 ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.



მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### 3.13 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

### 4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| დასახელება                      | 31.12.2022 წ |
|---------------------------------|--------------|
| ნაღდი ფული საღაროში             | 22723        |
| ფული საბანკო ანგარიშებზე        | 426677       |
| სულ ფული და ფულის ექვივალენტები | 449400       |

### 5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| დასახელება                                              | 31.12.2022 წ |
|---------------------------------------------------------|--------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან                | 816546       |
| სხვა მიმდინარე აქტივები ავანსი და სესხად გაცემული თანხა | 911247       |
| სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები             | 1727793      |



6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                            |                |
|--------------------------------------------|----------------|
| დასახელება                                 | 31.12.2022წ.   |
| სავაჭრო ვალდებულებები                      | 1101470        |
| საიჯარო ვალდებულება                        | 1765           |
| საგადასახადო ვალდებულებები                 | 153465         |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ         | 43632          |
| სხვა ვალდებულებები                         | 8              |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები             | 1300340        |
| გრძელვადიანი სესხი                         | 4341416        |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები             | 4341416        |
| <b>სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ჯამი</b> | <b>5641756</b> |

7. ამონაგები

|                        |                 |
|------------------------|-----------------|
| დასახელება             | 31.12.2022 წ    |
| პროდუქციის რეალიზაცია  | 19505971        |
| მომსახურების გაწევიდან | 218258          |
| სხვა შემოსავალი        | 0               |
| <b>სულ</b>             | <b>19724229</b> |

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

|                                          |                |
|------------------------------------------|----------------|
| დასახელება                               | 31.12.2022 წ   |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | 1261990        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                     | 99823          |
| იჯარა                                    | 185026         |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 817457         |
| <b>სულ:</b>                              | <b>2364296</b> |

9. ფინანსური ხარჯი/შემოსავალი

|                                     |               |
|-------------------------------------|---------------|
| დასახელება                          | 31.12.2022 წ  |
| წმინდა შემოსულობა/დანაკარგი         | 390348        |
| საველუტო სახსრების გადაფასებიდან    |               |
| საპროცენტო შემოსავალი               | 3267          |
| საპროცენტო ხარჯი                    | -142448       |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი | -7551         |
| <b>სულ:</b>                         | <b>243616</b> |

10. მოგების გადასახადი

|                      |              |
|----------------------|--------------|
| დასახელება           | 31.12.2022 წ |
| მიმდინარე გადასახადი | 0            |

11. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საზოგადოების მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

31.12.2022

*სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება*

|                            |         |
|----------------------------|---------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 1727793 |
|----------------------------|---------|

*ფულადი სახსრები და ექვივალენტები*

|                             |        |
|-----------------------------|--------|
| ნაშთები საბანკო ანგარიშებზე | 426677 |
|-----------------------------|--------|

|               |       |
|---------------|-------|
| ფული სალაროში | 22723 |
|---------------|-------|

|                                                              |         |
|--------------------------------------------------------------|---------|
| სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი | 2177193 |
|--------------------------------------------------------------|---------|

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ჯგუფი მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.



საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალდებული პირი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას და ეს იწვევს ფინანსურ ზარალს საზოგადოებისათვის. დებიტორები შედგებიან სხვადასხვა მომხმარებლებისგან. საკრედიტო შეფასება ხორციელდება დებიტორების ფინანსური მდგომარეობის გადახედვით და შესაბამისი საექვო ვალების რეზერვის შექმნით.

საბაზრო რისკი. ჯგუფი განიცდის საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) ლიკვიდურობის რისკით პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება სისტემატიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფს გააჩნია მიღებული სესხები, რომლებსაც ერიცხება პროცენტები.

31.12.2022

---

სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივები

-

სულ საპროცენტო გასავლის მქონე ვალდებულებები

4341416

---

წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა

-4341416

---

სავალუტო რისკი. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში საზოგადოებას გააჩნია რისკი, რომელიც გამოწვეულია საწარმოს ფინანსურ პოზიციისა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის ხარჯების ნაწილი გაიწევა ეროვნულ ვალუტაში; შემოსავლების ძირითადი ნაწილი მიიღება ასევე ლარებში, რამდენადაც საწარმოს გააჩნია უცხოურ ვალუტაში სავაჭრო ვალდებულება - ამდენად საწარმოს ხელმძღვანელობა ეწევა სისტემატურ მონიტორინგს უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით წარმოშობილ სავალუტო რისკის მისაღები ლიმიტების უზრუნველსაყოფად.

ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს სირთულეები სახსრების მოპოვებაში მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისას, ასევე, ლიკვიდურობის რისკს ადგილი აქვს, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს შორის აღინიშნება რაიმე სხვაობა. საწარმო ინარჩუნებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველყოფით, რომ ფონდები იქნება ხელმისაწვდომი ყველა პერიოდში, რათა მოხდეს შესაბამისი ვალდებულების შესრულება ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით, როდესაც დგება გადახდის მომენტი.

## 12. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან ერთი მხარე ფლობს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობას ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფში დაკავშირებულ პირებთან გარიგებები გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს:

- საქონლის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს;
- მომსახურების (იჯარა) ოპერაციებს.

დაკავშირებული მხარეები, მათთან განხორციელებული ოპერაციები

|   | დასახელება         | ოპერაციის სახე                                       | 2022 წ.   |
|---|--------------------|------------------------------------------------------|-----------|
| 1 | შპს ტორნადო+       | მოთხოვნა იჯარის მიწოდებიდან შპს ჯი ემ თი პლიუსისაგან | 50 075    |
| 2 | შპს ჯი ემ თი ჯგუფი | მოთხოვნა იჯარის მიწოდებიდან შპს ტორნადო+-საგან       | 7 080     |
| 3 | შპს ტორნადო+       | სმფ-ის მიწოდებიდან მოთხოვნა შპს ჯი ემ თი ჯგუფისაგან  | 8 083 589 |
| 4 | შპს ჯი ემ თი ჯგუფი | სმფ-ის მიწოდებიდან მოთხოვნა შპს ჯი ემ თი პლიუსისაგან | 1039059   |
|   | ჯამი               |                                                      | 9179803   |



დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციებიდან წარმოშობილი მოთხოვნა/ვალდებულების ნაშთები 31.12.2022წ. თარიღით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

|   | დასახელება         | ოპერაციის<br>სახე                                          | ნაშთი<br>31.12.2022 წ. |  |
|---|--------------------|------------------------------------------------------------|------------------------|--|
| 1 | შპს ტორნადო+       | სმფ-ის მიწოდებიდან<br>მოთხოვნა შპს ჯი ემ თი<br>ჯგუფისაგან  | 697 066                |  |
| 2 | შპს ჯი ემ თი ჯგუფი | მოთხოვნა იჯარის<br>მიწოდებიდან შპს<br>ტორნადო+-საგან       | 20 060                 |  |
| 3 | შპს ტორნადო+       | მოთხოვნა იჯარის<br>მიწოდებიდან შპს ჯი ემ<br>თი პლიუსისაგან | 2 383                  |  |
| 4 | შპს ჯი ემ თი ჯგუფი | სმფ-ის მიწოდებიდან<br>მოთხოვნა შპს ჯი ემ თი<br>პლიუსისაგან | 231276                 |  |
|   | ჯამი               |                                                            | 950785                 |  |

### 13. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. რაც შეეხება უკრაინის მოვლენებს, საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ უკრაინაში ომი არამაკორექტირებელი მოვლენაა და ყურადღებით აკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ ვითარებას, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად დააკორექტიროს საზოგადოების საქმიანობის შედეგები.

